



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 291

ქალაქი ქუთაისი 5 აგვისტო 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision International“-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision International“-ის საქართველოს ფილიალის პროგრამის მენეჯერის 27.07.2016 წლის №17937/01 და 01.08.2016 წლის №18178/01 მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision International“-სათვის, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ: 1. ქალაქ ქუთაისში, 26 მაისის ქუჩა №43-ში მდებარე ფართი №5-1 – 227.54 კვ.მ; სამეურნეო ფართი – 66.87 კვ.მ; მიწა – 1383.0 კვ.მ. თანასაკუთრება (ს/კ №03.03.21.323.01.507); 2. ქალაქ ქუთაისში, 26 მაისის ქუჩა №43-ში მდებარე ფართი №2 – 16.58 კვ.მ; მიწა – 1383.0 კვ.მ. თანასაკუთრება (ს/კ №03.03.21.323.01.502); 3. ქალაქ ქუთაისში, 26 მაისის ქუჩა №43-ში I სართულზე მდებარე – 11.64 კვ.მ. ფართი; მიწა – 1383.0 კვ.მ. თანასაკუთრება (ს/კ №03.03.21.323.01.509) 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის №57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუდის“ 11.03.2016 წლის №263, №264 და №265 დასკვნების საფუძველზე, რომელიც შეადგენს 3073.0 (სამიათასსამოცდაცამეტი) ლარს.

მუხლი 3. არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision International“-მა საიჯარო ქირის შემოდინება დაიწყო 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 4. არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision International“-ის საქართველოს ფილიალმა სარგებლობაში გადასაცემ ფართებში უზრუნველყოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის დღის ცენტრისა და კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარის მოწყობა და შემდგომი განვითარება.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი